ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N29

ქ.ზუგდიდი **8 დეკემბერი 2023 წელი**
12:00 სთ

2023 წლის 8 დეკემბერს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, ირაკლი გოგოხია, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, დავით ფიფია, სოსო გოგოხია, დარეჯან გაბედავა, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გიგა ფარულავა (შვებულება), თაზო ფაცაცია, ჯონი ჯიქია, გიორგი კორტავა, დავით ვეკუა, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია.

სხდომას ასევე ესწრებოდა: **.....**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 9 წევრი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე

2. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 7 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242334174 მომართვა (რეგისტრაციის N12-25233411-25 7.12.2023წ), რომელიც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონებას.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილეს კომისიის წევრებს მიაწოდოს ინფორმაცია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „როგორც საქართველოს მთავრობის N23-ე დადგენილება ითვალისწინებს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელ პროექტებს სანამ ინიცირება მოხდება სჭირდება საკრებულოს მოწონება, ამიტომ განსახილველად წარმოდგენილია პროექტები, რომ საკრებულომ მოიწონოს და შემდეგ მერია მიმართავს მთავრობას, რათა გამოიყოს დაფინანსება პროექტებზე.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „წინა კომისიებზე იყო საუბარი აღმართების პროგრამაზე. აქ წარმოდგენილ ნუსხაში რუხი-რიყეს დამაკავშირებელი აღნართი გზის რეაბილტაცია (საზღვართან, სადაც საგუშაგოა) რატომ არ არის შეტანილი.“

აზრი გამოთქვეს: მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „ჩვენ პროექტირება მოვახდინეთ ამ სრული გზის პროექტირება. ზოგადად, მოგახსენებთ, რომ ამ პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია ყველაზე მწვავე 26 აღმართი.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, მოწონებულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წინადადება

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა					
N	**ადმინისტრაციული ერთეული**	**საპროექტო წინადადების დასახელება**	**პროექტის კატეგორია**	**პროექტის სავარაუდო ღირებულება**	**შენიშვნა**

1	მაცხოვრისკარი, ოდიში	ქ.ზუგდიდში შშმ პირებზე ადაპტირებული ამორტიზებული პანდუსების სარეაბილიტაციო, მოთხოვნის შესაბამისად ახლის დამატების და მიწისქვეშა გადასასვლელებში შშმ პირებზე ადაპტირებული ლიფტების მოწყობის სამუშაოები	პანდუსები, ლიფტი	197,256.00	
2	მაცხოვრისკარი, ოდიში	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ოდიშის და მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულებში წმინდა ნინოს, თბილისის, ჩიქავას, ქირიას, ეგრისის, რუსთაველის ქუჩების და გელა ღურწკაიას ქუჩის შესახვევში სანიაღვრე სარეაბილიტაციო სამუშაოები	სანიაღვრე არხი	1,925,225.00	
3	კოლხეთი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბესიკის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები	სანიაღვრე არხი	223,033.00	
4	ორსანტია	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორსანტიის ადმინისტრაციულ ერთეულში კ. გამსახურდიას, ზუგდიდის, ენგურის და თამარ მეფის ქუჩებზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	გზა	3,011,477.00	

5	ეგრისი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში დავით ჯიქიას ქუჩის I, II, III და ბორჯომის ქუჩის I და II შესახვევებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	გზა	2,186,036.00	
6	ზედაეწერი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში სათორდიოს უბანში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	გზა	2,500,915.00	
7	ეგრისი	ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში შარტავას ქუჩაზე, პუშკინის ქუჩიდან ტაბიძის ქუჩის გადაკვეთამდე რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები	სანიაღვრე არხი	197,345.00	
8	შამადელა, უჩაშონა, ნარაზენი, ხეცერა, აბასთუმანი, ახალსოფელი, ოფაჩხაფუ, ჯუმი, ოდიში, ჩხორია, ჭკადუაში, ჯიხაშკარი, ალერტკარი, ყულიშკარი, ჭაქვინჯი, ურთა, ცაცხვი, ცაიში	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების (აღმართები) სარეაბილიტაციო სამუშაოები	აღმართების რეაბილიტაცია	2,500,000.00	

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: „ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე“ განკარგულების პროექტი ჩაითვალოს მომზადებულად და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია